



ინგლისში ურდოს დეპუტატს ჰეზინსონს, რომ  
ჩვენ საქონელი წყაროთი ბურჟუაზი. მისხარა-  
ბას სწორედ ეს დეპუტატი გენერალ ფრენს  
შეხვედრის მიხედვით 20,000 სული საქონელი  
და მასზე დაბეჭდვა გაქანა ინგლისში. კარგი და  
პატარასანი, მაგრამ ფრენსმა არ იცის რა უყოს,  
როგორ მოუაროს ამ საქონელს და დღის ან-  
მარა სტოპებს. რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე  
ადგილას გაიარა გენერალმა ბარტონმა და ამ  
გაშეკრულ 20,000 სულიდან 10,000 წასხა.  
რასაკვირველია, ამანაც დეპუტატს გაქანა ინგლისში.  
მე ბევრჯერ შემიძლო ჩემი ესკადრონით (თეთ-  
რი ცხენისა და ჯარი მისხურებს) ათასობით  
დამეტარა საქონელი, მაგალითად, 2000 ხარი და  
8000 ცხენი. მაგრამ რისთვის? ჩვენ ნადავ  
გვხდება დიდხანს ფარები საქონლისა და ვერ-  
სა ვხდებით, რადგან საქონლის გაწვევას ამ  
უზარ-მზარ მინდვრებში ნამდვილად შეუძლებე-  
ლია.

რაც შეეხება ფეხების სწრაფებს, ამისთანა  
საწოლები აქ ყველაზე მრავალად არის და ბუ-  
რებიც დაუბრუნებელია შოულებზე თავიანთ  
სამუშაოს. იმ ბურებს, რომლებთანაც ჩვენ ვიბ-  
რდებით, თავიანთ დღეში არ უცხოვრებთ ისე  
კარგად, საჭმელ-სასმელის მხრივ, როგორც ეს-  
ლას; ამას ისიც დაუმატეთ, რომ ეს საჭმელ-სა-  
სმელი ბურებს გრძელად არ უჯდებათ.

ესევე დარჩა სამხედრო სურსათი. ყველაზე  
წინ ის უნდა გაიხსენოთ, რომ ბურები ძალიან და-  
ზოგავით ხმარობენ ამ სურსათს; მერე ის უნდა  
გაიხსენოთ, რომ მხოლოდ ამ უკანასკნელ დღე-  
ებში იმთა დაიჭირეს მთელი ორი მატარებელი,  
პატრონებით დატვირთული. მარტო ეს პატრო-  
ნები უფრო იმთა მთელი რამდენიმე თვე, ხო-  
ლოდ ამ ორი მატარებლის გარდა ბევრი სხვაც  
ჩაიგდეს ბურებმა ხელშია.

გერმანელების კოფინების დასის მეთაური  
შენერარი ახარებს ამ დღეებში ავსტრიის ზარ-  
დაშენების სხდომის დროს მიმართის გარეშე  
საქმეთა მინისტრს და სთხოვს, რათა ამან  
გამოეცხადოს კრიუკის ავსტრო-უნგრეთის თა-  
ხაგრობა ბურებისადმი.

ინგლისურ გაზ. «დეილი შიფილდ»-ს თა-  
ნამშრომელს უნახავს ჩემბერლენი და ამხარის  
საუბარი ჰქონია ამ ელზანდელი ინგლისის «ბო-  
როტ სულთან»:

«მე უთხარი ბ. ჩემბერლენს, — ამბობს სხენე-  
ბული გაზეთის თანამშრომელი — რომ გაზეთში  
იმის შესახებ ორი ამბავია გამოცხადებული: პირ-  
ველი, რომ ჩემბერლენი სასურველად სთვლის იტ-  
ლის-ბურების ბრძოლაში მშვიდობიანად იყოს გადა-  
წყვეტილი; მეორე, ვითომ ჩემბერლენი დაწმუნდა,  
რომ ამ ბრძოლის მშვიდობიანად გათავის არ  
შეიძლება ვიდრე ბ. ალფრედ მილნერი თავის  
თანამდებობაზე დარჩება სამხრეთ აფრიკაში.

— ეგ მართალი არ არის, — უპასუხნია ჩემ-  
ბერლენს, — რასაკვირველია, ეფექტურად იმ აზ-  
რისა ეფუძნება, რომ საქმის მშვიდობიანად გათა-  
ვება სასურველი იქნება, მაგრამ ზავი ბურებთან  
შეუძლებელია აღმოჩნდა. რაც შეეხება ალფრედ  
მილნერს, შემიძლიან დავაწმუნოთ, რომ ინ-  
გლისის მთავრობა ამას ესტად სრულიად ნდობით  
უუარებს. ეს გარემოება იმთა მტკიცდება,  
რომ ინგლისის მთავრობამ ამას წინათ ორდენ  
ბანის ჯვარი უბოძა ბ. მილნერს.

ერთი გერმანული გაზეთის კორესპონდენ-  
ტი იწერება კამპტატიდან:

«ინგლისელები ჯარს ატარებენ კავის მცხოვ-  
რებლებში, მაგრამ ვაი ამ მოგროვებებს. ცხადია,  
რომ ინგლისი ვეღარ შეიძლება ისეთი ჯარის  
მოკრებას, რომელსაც ბურებთან ბრძოლა შე-  
ეძლებათ.

მთავრობა იარაღს ატარებს აფრიკანდერებს;  
ხოლო ისეთ იარაღს ატარებენ მოხელეებს,  
რომ ამთა თანამად შეუძლიან გამართონ ჩინე-  
ბული მუზეი ძველ-ძველი საკვირველი იარაღი-  
სა: მთავრობამ ჩაიბარა მხოლოდ მე-XVIII სა-  
უკუნის და მე-XIX საუკუნის პირველი ნახევ-  
რის მუშაობები.

მართალია, ზარდაში ერთი მუზეუმის თოფიც  
მიეტანათ მოხელეებისათვის.

რობერტსონის ოქტომბრულ ფერმენტთა  
კრებაში დაადგინა პრეტესტი გამაცხადოს წინ-  
აღმდეგ იარაღის ჩამორთმევისა.

გაუგინის ოქტომბრულ თავისი დეპუტატი კან-  
დერ მერვე გაზეთს ალფრედ მილნერთან, რათა

გადაჭრით გამოეცხადოს, რომ ოქტომბრულ  
ნებს თავის სთვლებში ინგლისის ჯარის შედი-  
ნენ რაზმებს და არასოდეს არ ახარის და მო-  
ხელეებს არ ჩააბრებს თავის იარაღს.

მას აქვთ, რაც კანის ახალშენში სამხედრო  
წესები შემოიღეს, აფრიკანდერებმა შეტად შეი-  
ძლეს ინგლისელები. არ გვგონოთ ევროპაში,  
რომ დიდი ზოლიტიკური ცვლილებანი ისე მა-  
ლე ხდებოდეს, როგორც მაღე იტალია სხვა  
და სხვა სახლის გუნება. იქნება მანდ მოსწონ-  
დათ კიდევ კითხვა სამხრეთ აფრიკის საქმეზე,  
მაგრამ ბურებს ჯერ არ მოჰყვრებოთ ბრძოლა  
თავისუფლებისათვის. არ დაიფიქროთ, რომ ამე-  
რიკამ შეიძლება წყლიწადი იბრძოდა დამოუკიდებ-  
ლობისათვის.

მე ვამტკიცებ მხოლოდ ამას: ინგლისე-  
ლებსა და აფრიკანდერებს შუა სიძულვილი ისე  
გაძლიერდა, რომ აფრიკანდერები არასოდეს არ  
დასთანხმდებიან, რომ ინგლისმა სამხრეთ-აფრი-  
კის რესპუბლიკები დააპყრო და შეიერთა.

ფრანგული გაზ. «ფიგარო» კორესპონ-  
დენტი იუწყება, რომ ლონდონში ბევრთა და-  
ზარალებენ, ვითომ კიტჩენერის მაგივრად ევე-  
ლინ ვუდი დაინიშნა, ხოლო კიტჩენერს ინ-  
დოეთის ჯარების მთავარ სარდალად გააშვეს-  
ებნო.

## ახალი ამბავი

გუშინ, ექვს თებერვალს, აკურთხეს  
არტისტიკულ საზოგადოების ახალი შენობა.  
კურთხევის დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-  
მართებელი თ. გოლიცინი მეუღლით, მთა-  
ვარმართებლის თანამემწე ფრენკ, გენ. ამი-  
რეჯიბი, გენერალიტეტი, ჟურნალ-გაზეთე-  
ბის წარმომადგენელი და ნხვა საპატიო  
პირები.

შაბათს, 3 თებერვალს, შესდგა კრე-  
ბა ადგილობრივ ნაფიც ვეჟილებისა და მათ  
თანამემწეებისა; კრების საგანა იყო — ლა-  
რიბთათვის უფასო რჩევის მიცემის საქმის  
მოწყობა. უმთავრესი მუხლები განზრახულ  
საქმის წესდებისათვის კრებაზე იქმნა გა-  
მოკვლეული და დაწვრილებით საქმის გამო-  
რკვევა მიენდა კრების ერთ წევრს, რომე-  
ლიმაც თვისი მოხსენება ამ მოკლე ხანში  
უნდა წარმოადგინოს.

ხვალ, 8 თებერვალს, ნაშუადღევს  
1-ლ საათზე, ტფ. 1-ლ საეაო გიმნაზიის  
დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება  
რუსეთიდან გადმოსახლებულთა ამიერ კავ-  
კასიის დამხმარებელ საზოგადოების წევრთა.  
კრებამ უნდა განიხილოს საზოგადოების  
მოქმედების ანგარიში.

როგორც გვატყობინებენ, ჩრდილოეთ-  
კავკასიის სახალხო სკოლების დირექტორად  
ნამყოფის, აწ განსვენებულის გრუშვესკის  
მაგივრად პნიშნავენ ქუთაისის სახალხო სკო-  
ლების ინსპექტორს ბ. ნ. სავის.

ტფილისის მეორე განყოფილების მო-  
მრიგებელი-მოსამართლის თანამემწე ბ. ნი გე-  
რასიენი კო გადაყვანილ იქმნა ტფილისის მესამე  
განყოფილების მომრიგებელ მოსამართლედ,  
ხოლო მეორე განყოფილების მომრიგებელ-  
მოსამართლის თანამდებობაზე დაინიშნა  
სიღნაღის განყოფილების მომრიგებელ-მოსა-  
მართლის თანამემწე ბ. ნი რუდინსკი და უკანა-  
სკენელის ადგილზე კი გამწესებულ იქმნა  
ტფილისის ოლქის სასამართლოს მოხელე  
კოლესკი სერგეი ბ. ნი ჟოვნესკი.

მიწად-მოქმედების მინისტრმა მიი-  
წვია პეტერბურგს ტფილისის გუბერნიის  
სახელმწიფო ქარებათა გამგე ბ. ბეკი სამ-  
სახურის საქმეების გამო.

ტფ. 1-ლ საეაო გიმნაზიის სამზრუ-  
ნელოს საბჭოს დადგენილებით, ამ გიმნაზიის  
ზოგიერთ მოწაფეთა დაურიგდათ საჩუქრები  
კარგის სწავლისათვის. ქართველთაგან 1-ლის  
ხარისხის საჩუქარი არავის მიუღია, მეორე  
ხარისხისა კი შემდეგ მოწაფეთ მიიღეს: IV  
კლ. — ვლ. გაბაშვილი, III კლ. — ნიკ. კო-  
ბიაშვილი და გიორგი ნიკოლაძე, II კლ. —  
ზაქ. ზაალიშვილი, ალ. ლეონიძე და ალ.  
ციციშვილი.

კვირას, 11 თებერვალს, ტფ. 1-ლ  
საეაო გიმნაზიის დარბაზში მოხდება პირვე-

ლი საზოგადო კრება ტფილისის გიმნატი-  
ურის საზოგადოების წევრთა

ტფ. საოლქო სასამართლოს დროები-  
თი განყოფილებანი გაიხსნებიან ადგილო-  
ბრივ საქმეთა განსახილველად: სიღნაღში —  
22 თებერვალს, ზაქათალაში — 10 მარტს,  
ლუშეთში — 19 მარტს და თელავში 10  
აპრილს.

ხუთშაბათს, 8 თებერვალს, ტფილისის  
სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის  
პირველ დეპარტამენტში განსახილველად  
დანიშნულია, სხვათა შორის, საქმე დავით  
და ბიკია მიქელაძეებისა, რომელთაგანაც  
პირველს — დავითს პარალელა კაცის მოკვლის  
განზრახვის ჩადენა, ხოლო მეორეს — ბიკიას  
სასჯელთა დებულების მე-1707 მუხლში აღ-  
ნიშნული დანაშაულობის ჩადენა.

შაბათს, 10 თებერვალს, ავქალის ქუ-  
ჩაზედ, სახალხო თეატრში, სკენის მოყვარე-  
თაგან წარმოდგენილი იქმნება კომედია „მო-  
ულოდნელი საჩუქარი“ და თავ. რ. ერის  
თავის „ბიძისთან გამოხუმრება“.

„ივერიას“ დეპეშით ატყობინებენ  
იურიდიკან, რომ 10 დღის მძიმე ავადყო-  
ფობის შემდეგ იქ გარდაიცვალა ქართველი  
სტუდენტი ბენედიქტე გიორგობიანი.

გუშინ, 6 თებერვალს, ტფილისის  
ქალაქის თავმა სთხოვა ტფილისის გუბერ-  
ნატორს, რათა ნება დართოს მას დაუყო-  
ვნებლივ სისრულეში მოიყვანოს საბჭოს  
დადგენილება, რომლის ძალით არჩეულ  
იქმნა განსაკუთრებული კომისია ქუჩების  
მოკირწყლისათვის საჭირო საშუალების გა-  
მოსაძებნად.

ამას წინადა ჩვენს გაზეთში გაეცანით  
მკითხველებს შინაარსი მკურნალ არტემიევი-  
საგან კავკასიის სამკურნალო საზოგადოებაში  
წაკითხულ რეფერატისა, რომელშიაც სხვათა  
შორის, ავტორი ვრცლად ეხებოდა იმ სა-  
კითხს, თუ საიდან უკეთესი იქმნება ქალა-  
ქისთვის გამოყვანილ იქმნეს წყალი. არტე-  
მიევი თავის წერილში უნაყოფოდ სცნობს  
ქალაქის გამგეობის ცდას ნატატარის წყარო-  
ებიდან წყლის გამოყვანის შესახებ, რადგა-  
ნაც, მისი გამოკვლევით, იგი არავის წყა-  
ლია, რომელიც ბევრით ჩამოუვარდება ღირ-  
სებით მტკვრის წყალს. ესეა, როგორც შევი-  
ტყეთ, ქალაქის საბჭოს იმ კომისიის თავმ-  
ჯდომარეს ლუნევიჩის, რომელსაც მინდო-  
ბილი ჰქონდა ნატატარის წყაროების გა-  
მოკვლევა, ვრცელი დასაბუთებული პასუხი  
შეუტანია სამკურნალო საზოგადოების გამ-  
გეობაში, რომელსაც საზოგადოება გაა-  
ჩვენს ბ. არტემიევის მოხსენების განხილვის  
შემდეგ.

ხუთშაბათს, 8 თებერვალს, ქალაქის გამ-  
გეობის დარბაზში მოხდება სხდომა ქალაქის  
სასწავლებელთა გამგე-კომისიისა, რომელზე-  
დაც განსახილველად დანიშნულია სულ 8  
საქმე.

ტფილისის მაზრას დაედო სახელმწი-  
ფო საადგილო-მამულო და საიჯარო გადასა-  
ხადი სულ 103,000 მან. ამ მაზრის მცხოვ-  
რებთა რიცხვი ასი ათასზედ ცოტა მეტია.

ტფილისის გუბერნატორმა მადლობა  
გამოუცხადა გუბერნიის ბეთლებს და სა-  
მაზრო ადმინისტრაციას საქონლის ქირთან  
ენერგიულ ბრძოლის გამო.

ტფილისის გუბერნატორმა გაუხსნა ქა-  
ლაქის ბეთალს 1000 მანეთის კრედიტი იმ  
ზარალის საზღვევად, რომელიც მოუვიდათ  
საქონლის პატრონებს ქირიან საქონლის და-  
ხოცვით ტფილისში. ამ ფულიდან 700 მა-  
ნეთი მიეცემა საქონლის პატრონებს, ხოლო  
დანარჩენი მოხმარდება საქონლის ქირის წი-  
ნააღმდეგ საჭირო ზომებს.

1-ლ მარტიდან ტფილისის გუბერნა-  
ტორის ყველა ბრძანება და განკარგულება  
გამოიქმნება თავ-თავის დროზე.

როგორც შევითვალთ, ქ. ერევანში მთა-  
ვრობას გადაუწყვეტია დააარსოს საბაღოსნო  
სასწავლებელი. ამ საქმისთვის, ერევნის ქა-  
ლაქის მოურავის თავმჯდომარეობით, უკვე  
შემდგარა განსაკუთრებული კომიტეტი, რომ  
მელსაც დაევალო შეუდგეს განზრახულ საბა-

ღოსნო სასწავლებლის მმართველ-გამგეობის სა-  
ქმეს. ერევნის ქალაქის თვით-მმართველობა  
ამ საქმისთვის თავის მხრივ შეეწირავს 3000  
მანეთი.

ორშაბათს, 5 თებერვალს, ტფილისის  
ლში, ვერაზედ, გერმანიის ელჩის დროშაზედ  
აგურანის შეკეთების-დროს ოთხი ჩამოტყველდა  
ქვეშ მოუტანია 5 მუშა, რომელთაგან ერთი სპარ-  
სეთის ქვეშევრდომი მამულ-გუსტინოლი იქვე გარ-  
დაცვლილა, მეორეს ფეხი მოსტეხია და დანარჩენ  
მკირვლ დაშავებულან. დაშავებულნი მიხედის საშ-  
კურნალოში იქმნენ გაგზავნილნი.

## ქალაქის საბჭო

ორშაბათს, 5 თებერვალს, ტფილისის  
ქალაქის საბჭოს სხდომა დაიწყო ქალაქის  
მოურავის თავმჯდომარეობით საღამოს 6  
საათზე. სხდომას დაესწრო 30 ხმოსან  
დე. საბჭომ 15 საქმიდან მოასწრო მხოლოდ  
4 საქმის განხილვა. 28 იანვრის სხდომის  
ოქმის დამტკიცების შემდეგ საბჭოს წარ-  
დგინა მოხსენება ქალაქში ხორცზე ნიხრის  
შეცვლის შესახებ; ნიხრის დამწესებელ კო-  
მისიის საცდელად 23 იანვარს დაუკვლევ  
ვინებია საქონელი და ანგარიშით აღმოჩენ-  
ილა, რომ საჭიროა მოგმატოს ძროხის  
ხორცს 1 კ. ცხენისას — 1 1/2 კ., რადგანაც შე-  
დარებით ფასმა პირუტყვზე მოიმატა: ასე რომ  
ამ მოხსენებით საქონლის ხორცი გირვანქა  
უნდა გაიყიდოს 9 1/2 კაპ. ხოლო ცხენის  
10 კაპ., საბჭომ შეიწყარა გამგეობის  
საქმის შესახებ დადგენილება.

როგორც მკითხველებს ესმოდათ  
ამას წინადა ქალაქის გამგეობამ და-  
ნიშნა საზოგადო ვაჭრობა შიოვენი-  
სეულ სახლებში მალაზიების იჯარით  
გასაცემად; ვაჭრობაზე მოხსენებულ მალა-  
ზიების იჯარით აღება დარჩა ტფილისის  
მოქალაქეს გრიგოლ ზალინოვს 9460 მან.  
ამის გამო მალაზიების ეხლანდელ მოიჯარე-  
რადრე ვაჭრებს უთხოვნიათ, რომ იგინი-  
ლარჩენ მოიჯარადრედ და გარდისდი-  
იმავე ფასს ქალაქის სახარგებლოდ, რასაც  
ზალინოვი აცხადებს. გამგეობას შესაძლებ-  
ლად უცნია ძველ მოიჯარადრეთა მალა-  
ზიებში დატოვება. ამ დადგენილებამ ხმა-  
თაიროვისა და სხვ. მხრით წინააღმდეგობა  
გამოიწვია; ამთა განაცხადეს, რომ უკ-  
ნონობა იქმნება ძველ მოიჯარადრეებზე  
დარჩეს მალაზიები, რადგანაც, სხვ  
რომ არა იყოს-რა, ამნაირის ქე-  
ვით ქალაქის თვით-მმართველობა უნდობლო-  
ბას იწვევს მცხოვრებლებში: რად დანიშნე-  
ვაჭრობა, რომელზედაც ზალინოვი იჯარო  
საქმე 9,460 მანეთად ჩაიჭინა, თუ ეს  
ურს ეუბნებითო. ცოტა ხნის შემდეგ საბ-  
ჭომ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება  
რომლის ძალითაც მალაზიები ისევ ძველ მო-  
იჯარადრეებს დარჩება აღნიშნულ ფასად.

შემდეგ გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერ-  
ქეზიშვილმა წარუდგინა საბჭოს ვრცელი მო-  
ხსენება ავქალის ცხენის რკინის გზის კონ-  
ცესიონართა სურვილისამებრ ბელგის უსა-  
ხელო საზოგადოებაზედ გადაცემის შესახებ  
ზოგიერთა ხმოსანებმა განაცხადეს, რომ ეს  
ისეთი რთული საქმეა, რომ მას დაახლოვე-  
ბით უნდა გავეცნოთ და ისე დავადგეთ გარ-  
დაწყვეტილის აზრს. ამიტომ უნდა ჯერ და-  
იბეჭდოს მთელი ამ საქმის გარემოება. საბ-  
ჭომ ხმის უმეტესობით დაავალა ქალაქის გამ-  
გეობას დაიბეჭდოს და გაუგზავნოს  
ხმოსანებს ეს საქმე და შემდეგ დანიშ-  
ნოს სხდომა მის განსახილველად. ხმოსანთ  
შორის დიდი კამათი გამოიწვია ქალაქის გამ-  
გეობის დადგენილებამ ბელგის უსახელო სა-  
ზოგადოებისაგან 600,000 მანეთის სესხად  
აღების შესახებ. როგორც თავის დროზედ  
გვქონდა აღნიშნული, ქალაქის გამგეობა  
ამ სესხის აღება შესაძლებლად იცნო 50  
ისე, რომ მას 30 წლის განმავლობაში გაეს-  
ტუმრებინა და მასთანვე ნება ჰქონებოდა  
15 წლის შემდეგაც, თუ ქალაქი მოისურვე-  
ბდა, გარდაეხადა ეს ფული. ამ საქმის შესახებ  
ხმოსანთა შორის ატეხილმა კამათმა თითქმის  
11 საათამდე გასტანა. წარმოიქმნა ბევრი

და-სხვა მოსაზრებანი. დიდხანს ილაპარაკეს ხმოსნებმა თაიროვმა, ბაბოვმა, რომელიც ამტკიცებდნენ, რომ ეს სესხი ასეთის არგებლით დიდად შემაფიწროებელი იქნება ქალაქისათვისაო. ხმ. თაიროვის აზრით, უკეთესი იქნება ქალაქმა შუამდგომლობა აღძრას მილიონ მანეთის მთავრობისაგან სესხად დების შესახებ, რომელიც ვალიც უნდა აღიზიდნენ 30 წლის განმავლობაში ცხე-ლის კანის გზის კონცესიონერთაგან შემო-დგენილი; ხმოსანი ამას მით უფრო საუკუ-ნოდ სცნობდა, რომ ამ ფულით უფრო მეტად გაიზარდა ქალაქის ქუჩები მო-წყობისათვის გაუმჯობესებულ საშუალებით. მოსანი დოლოზანოვი აცხადებს, რომ უკეთესი იქნება ვთხოვოთ მთავრობას ნება დავუბრუნოთ, რომ ის 800,000 მანეთი, რომელიც გვეძლევა სესხად ქალაქის ლომობარ-ბის ასაშენებლად, ქუჩების მოსაპირულო-ბად მოვიხმაროთო. გამგებობის წევრმა თავ. ბრეტვილიძემ სთქვა: შეიძლება ჩვენი და-გეგმილება აღნიშნულ სესხის შესახებ ცრუ-ბაში იყოს ქალაქისათვის, მაგრამ ისეთი ბარს მდგომარეობაში ვართ, რომ სხვა გზა გვაქვს; დღეში ასე მაინც მეტი მთხო-ვნი ქალაქის მცხოვრებელი მოდის და აცხადებს ქალაქის ქუჩების ყოვლად უფარ-ბისადაც და მართლაც, როგორც ყველა იტყვით, არამც მართა განაპირა ადგილებ-ზე, ქალაქის შუაგულის ქუჩებიც მეტად სიღრმისადაც გაუმჯობესებას და თუ საბჭო-ს დაამტკიცებს გამგებობის დადგენილებას ამ სესხის აღების შესახებ, მაშინ უნდა რა-იმე სხვა საშუალება გვიჩვენოთ, როგორ დაგვემოუბროთ ამ მეტად ქალაქისათვის დიდ ზიანს მიყენებულ საქმესაო. კარგა ხნის კამა-ბის შემდეგ საბჭომ ხმის უმეტესობით და-დგინა ამოირჩიოს კომისია, რომელსაც და-დგინდეს გამოსცემოს რაიმე საშუალება იმ-ის ხანის მოსაპოვებლად, რომელიც აუცილე-ლად საჭიროა ქალაქის მდგომარეობის მოსაწესრიგებლად. კომისიის წევრებად კენ-სის ყრით ამორჩეულ იქმნენ ხმოსნები: ა. მ. ალიხანოვი, თავ. ვ. ნ. არღუთინსკი-ვი, დოლოზანოვი, დოლოზანოვი, ფრიდო-ლი, თაიროვი, ბაბოვი ა. ს. ლისიციანი. დასასრულ, საბჭომ ამოირჩია ორი დებუ-ბა: ბ. ბ. ა. შაღინოვი და ე. მ. აკო-ლი ქალაქის მე-3 საოლგიატო სესხის მოსაპოვებლად. სხდომა დაიხურა ბ. ბ. ა. შაღინოვის 11 საათზედ.

### 36030530

ბაბო. ზოგიერთი უჩაღები, რომლებიც ბაბოვთან ერთად ქალაქის გარე სტრუქტურაზე და ზონირებაზე, ზონირებით დიდ ქალაქში ცხოვ-რებას ამჯობნიებენ და იქ იმყოფებიან. ადმი-ნისტრაციის თაღების სახეობად სსკესს და ზონირების იდეალს და სამსახურში შედიან. ა. ამისი აზრით: გუშინ არქის მზრის პოქულმა ამარჯობა შეიპოვა აქ უჩაღი კარსანი დასახლებაში, მუხტაროვის სახელისნაში. ეს ვა-რდები აკრ სპი წეფიწადია, რაც გაქმულა და ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე მუშაველი ჩაუდგენია და მრავალი ხალხი გაუძრავს. ამ მათარში ბაქოში ჩამოსულა თურქი, გვარი და სახელი გამუცელა და მუხტაროვთან და-მკარა. ეს ამბავი გაუგია ზემოხსენებულ ბაქულს, რომელიც უკვე რამდენიმე კაცი, ჩამოსულა ბაქოში და მრავალი მუხტაროვის სახელისნა დასცე-მა თავს მოუდგენდა. უჩაღი მართლაც იქ იმყოფება და შეუძრავს. შეკრული უჩაღი აქაურ მინისტრაციის გადის დასაბამებულად და უკეთეს თაღის ადგილზე წავიდა. 3 თებერვას აქ, დღისით, უმაღრესს ქუ-ჩა ერთი შემადგენელი მუშაველი მოხდა: უჩაღი ხანის მსახური ახსენა მდიდრად ქუ-ჩაში, ამ დროს უჩაღიან მიუპარა ვიდე და მდიდრად მუშაველი ესრდა. დაჭრილი მდიდრად ქუჩის შემდეგ გარდაიცვალა. მუშა-ვი დასაბამეს. ამბოგან, ამ მუშაველობის შემოღი აქვს აქაურ ორ მდიდრის უმაღ-რესობისთანა, რომელთაც ამას წინადა ჩხუბი

მოსვლით კლუბში და შემდეგ, როცა კლუბი-დან შინ წასულან გზაზე კინაღამ ერთმანეთი არ მოუკლავთ.

### წე-ბელი

ბ. ბუთაისი. მარგანეცის მწარმოებელთა ერთ ერთს გაჭირვებას წარმოადგენს დღეს ვა-განების უქონლობა; რკინის გზა ვერ აკმაყო-ფილებს მრეწველთა მოთხოვნას და მარგანეცის საქმე ამის გამო ცრუად იყრნება. რასაკვირვე-ლია, ამ გვარს საქმის არა სასურველმა მდგო-მარეობამ გამოიწვია მოქმედი-მოქმედი მრეწველთა შორის; გამოითქვა აზრი, რომ კერძო კაცსაც შეუძლია გააკეთოს ვაგანები და ამუშაოს მთა-ვრობის ნებართვით. მაგრამ სხვა და სხვა მი-ზეტებისა გამო შეუძლებლობა ამ საქმის შესა-კებ არ უაღიფა აღძრული. ესეა თვით რკინის გზა დაკეთისა აბჭის ამ საგნის შესახებ და ითხოვა ცნობები, ვინ ისურვა ვაგანების გაკე-თების ნება-რთვა, საბჭომაც თავის მხრივ გასულ ანგარიშს 16-ს დადგინა ეთხოვოს რკინის გზის გამკეთებას შემდეგი ცნობები: 1. შესაძლებელია თუ არა იარსი ჭიათურის გზაზე კერძო კაცე-ბის ვაგანებმა და თუ შესაძლებელია, რა ბარო-ბებით (სასურველია იმ წესით მიმდინარე ჭიათურის გზაზე კერძო კაცების ვაგანები, როგორც კატრინინის და გონეცის გზებზე) 2. ვინ უნდა განასჯლოს და შეაკეთოს ვაგანები 3. შეუძლია რკინის გზას თუ არა იქნას საკმარისი ლოკომოტივები, რომ შესაძლებელი იქნეს ეგულა ვაგანების მუშაობა და 4. რა ბო-რობებით შეუძლია კერძო კაცს შემოიღოს თავის საკუთარი ლოკომოტივები ეს ცნობები და-დასაწერა საბჭოსათვის, რომ მან დასაბუ-თებული შეუძლებლობა აღძრას.

მარგანეცის მრეწველთა უჩაღსკენ კრებაზე დიდი პასი იყო მუშების დაზღუდვის შესახებ. ამ კითხვის გამოსაწყვეტად საბჭოს თავმჯდომე-რმა ბ. ზდანოვიჩმა წარუდგინა კრებას ვრცელი და შემუშავებული მოსხენება; ეს მოსხენება მიიღო კრებამ და საბჭოც შეუდგა ამ საგნის შესახებ მიწერ-მოწერას. ამ მიწერ-მოწერასაც ბოლო მოეღო, ყოველივე ფორმალური მოთხო-ვნილება ამ საქმის უკვე შესრულებულია და ამ ორ დღეში მოხდება კოლექტიური დაზღუდვა სიკვდილის და სხვა და სხვა უბედური შემთხვე-ვებისაგან ჭიათურაში მყოფ მუშათა. სსსსსრუ-ლია, რომ მარგანეცის საქმის გამგეანი ასე ფასდება კვადებთან საქმეს.

ამ ცრუ ხანში მარგანეცის მრეწველთა საბ-ჭოს მოწვეულ ზიანებთან ერთად ექნება ჭია-თურაში თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ გაუძღვნენ სახალხო კითხვებს, წარმადგენებს და საკვარაო სკოლას ჭიათურაში. სასურველია ამ სასარგებლო საქმეს კარგი ორგანიზაცია მიეცეს და ისინი, ვისაც მართლა გული შესტკივა ხალხი-სათვის, შეუდგნენ ამ წმიდა საქმეს და მოაწო-დონ ხალხს სადი გონებრივი საზრდო: კრები-სა და სიტყვების რასა-რუხი ძლიერ ადგილი, მხოლოდ საქმის გაძღვლა და გაწეს-რეგება კი მეტად ძნელია: ამ შემთხვევაში საჭიროა ცოდნა და დრო სიკვარული ამ საქმის, რომელსაც ხელს ჰქონდა.

დ. მ.

### „ხმა ახლოდან“

(წერილი რედაქციის მიმართ)

ჩვენმა წერილმა „მე-XIX საუკუნე სა-ქართველოს ლიტერატურისათვის“ ბევრი გააცხარა, მაგრამ ერთი „მწერალი“ კი გააწიწა.

ბ. ლუტუ მეგრელი თავისებურად და ქართველურად აბლა-უბლად მიედ-მოედლა. „ამ ბოლოს დროსო, — ბრძანებს დინჯად ბ-ნი ლუტუ მეგრელი — ჩვენში გავრცე-ლია, ასე ვთქვათ, დასებრივი და პირად გან-წყობილებაზე და სიმპატიისაზე აშენებული კრიტიკა; თუ შეიძლება ეს სახელი ვუწო-დოთ მას“ — (იხილეთ „მე 27“) და მაგალი-თად ჩემი ზემოხსენებული წერილი მო-ჰყავს. მე თურმე „პირადის განწყობილებით და სიმპატიით“ ვიხელმძღვანელებ, როცა ამ წერილში ვახ. ორბელიანისა, მამია გური-ელის და სხვ. სახელი გამოვტოვე და ბ.

დევანოზიშვილისა და ზურაბიშვილის კი „მთელი ტირადები“ ვუძღვენი.

უნდა ვამცნოთ ბ. ლუტუ მეგრელს და მსგავსთა, რომელთაც თურმე კარგად იციან ვინ ვისთან როგორ განწყობილებაშია, ის რომ მხოლოდ ბურენინის მზგავსი მწერლე-ბი ხმარობენ იმგვარ იარაღს, როგორიც არის იმის განცხადება, რომ ესა და ეს ამასა და ამას იმიტომ აქვს, რომ მისი მე-გობარია და ამას იმიტომ აძაგებს, რომ იმისი მტერიაო.

თუ თქვენ სიმართლის აღდგენა გსურთ, უნდა ეომოთ აზრს აზრითა და საბუთებით და არა კორების შემწვობით და იმის გა-მოქვეყნებით, ვან ვისთან არის კარგ განწყობილებაში და ვინ ვისთან ცუდში. ადვილად შესაძლებელია, რომ დიდად გი-ყვარდეს და პატივსა სცემდე კაცს და ამ სიყვარულმა მართლაც ისეთი რამ აღმოვა-ჩენიოს მის ნაწარმოებში, რასაც სხვა ვერა ჰხედავს, აგრეთვე ადვილად შესაძლებელია, ხშირად მტრობამაც ისეთი ნაკლულევენება შეგამჩვენოს კაცის ნამოქმედარში, რასაც სხვა ვერ ჰხედავს. თუმცა უფრო ხშირად სიყვარული და კეთილი განწყობილება თვალების ამხელია და სიძულვილი დამაბრმა-ვებელი. მით უმეტეს, არც ერთი თავისის თავის პატივისმცემელი, პატიოსანი და რი-გიანი მეგობარი და მტერი იმას არ ეცდებ-და, რომ თავისი აზრი გააზიადოს და გა-დააქარბოს მტრისა და მეგობრის შესახებ, რაკი თავისი დამოკიდებულება თვალ-წინ ექმნება დაყენებული. რასაკვირვე-ლია, ბ. ლუტუ მეგრელისთანა ვაგებატო-ნებისათვის ადვილია ყოველი კაცის რი-გიანობასა და პატიოსნებაზე ექვი შეიტა-ნონ, მაგრამ მაგიტაც ფონს ვერ გავ-ლენ და მათგან შექმნილის ტალახის ზე-ლას თვითვე მოუნდებიან.

ყოველი წრე, ყოველი პარტია აქვს ხოლმე თავისის პარტიის წარმომადგენლებს და იცავს ამ პარტიისგან წამოყენებულ პრინციპებს, იმიტომ კი არა, რომ მისი მეგობრები ამ პრინ-ციპს იცავენ და აგრეთვე მოწინააღმდეგე დასის წევრებს ეომება იმიტომ კი არა, რომ ისინი ყველანი მისი მტრები იყვნენ. ხშირად შეიძლება საუკეთესო მეგობრები ერთმანერთს დაშორდნენ, რაკი მათ შორის აღმოჩნდება არსებითი განსხვავება აზრისა და და გრძნობისა, და, შესაძლოა, მტრები ერ-თმანერთს დაუახლოვდნენ იმავე ნიადაგზედ შეერთებით.

უმეტეს ნაწილად კი მეგობრობა ისე, რო-გორც ყოველი სერიოზული დამოკიდებუ-ლება, რომელსაც ფაქტურული ხასიათი აქვს, სრულიად აუხსენელი გრძნობაა, რომ-ლის აუცილებელს პირობას როდი შეადგენს აზრის ურთიერთობა და ხშირად ორის სრუ-ლიად სხვა-და-სხვა მიმართულებისა და ტემ-პერამენტის კაცი დაუკავშირდება ერთმა-ნერთს და ეს მათი კავშირი თითქმის საუ-კუნოა. ამის მაგალითებით საგნა ისტორია. ყოველ შემთხვევაში, წრფელი მეგობრობა და კავშირი თავის დღეში არ ითხოვს იმას, რომ მეგობარი უსათუოდ ნიჭიერი მწერალი იყოს, ან ნიჭიერი ხელოვანი, ან ნიჭიერი მეცნიერი.

ამიტომაც, მხოლოდ ქორიკანობის მოყ-ვარულ ჩვენს საზოგადოებაში არის შესა-ძლო დაუსჯელად ისეთი ველურისა და მხეცურის აზრის წამოროშა, რომ ეს ამის ნაწერს იმიტომ აქვს, — მისი მეგო-ბარია და ამის ნაწერი იმიტომ არ მოსწონს, რომ მისი მტერიაო.

დიდებულს ისტორიკოსს, ფრანგს მიშ-ლეს, თავისის მეგობარის კინეს ყოველი თხზულება ცათმდის აჰყავდა და მთელს ლექ-ციებს უძღვნიდა ხოლმე, მაგრამ თავის დღეში არავის ის არ უთქვამს — იმიტომ აქვს, რომ მისი მეგობრის ნაწერიაო.

მე თუ ბ. ბ-ნი დევანოზიშვილისა და ზუ-რაბიშვილის შესახებ „მთელს ტირადებს“ ვწერ, იმიტომ კი არა, რომ ჩემი მეგობრი-ბი არიან, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს ლი-ტერატურაში ახალის მიმართულების ხელო-ვნურ თხზულებებსა სწერენ, ისეთის მიმარ-

თულებისა, რომელიც ევროპიელ ლიტერა-ტურაშია დამკვიდრებული და საუკეთესოდ მიჩნეული.

თუ ეს შემცდარი აზრია, რომ ზურაბი-ნოზიშვილისა და ზურაბიშვილის ნაწერები მოკლებულნი არიან მ. ლუტუ მეგრელის თა-ც მე მათში ვხედავ, გაუგებრობა დამწა-მეთ. თორემ სწორედ იმიტომ, რომ ისინი ჩემი მეგობრები არიან — და ზევსაქართველო-ში ვართ, სადაც ისეთი ეგზემპლიარები ხში-რად შეგხვდებათ, როგორც ბ-ნი ლუტუ მე-გრელი ბრძანდება, სწორედ ამიტომ-მეთქი, გმირობა იყო ჩემის მხრივ მეგობრის ნაწა-რმოების შესახებ რისამე დაწერა. მაგრამ ჩემს საქმეს სრულიად სხვაგვარად ვუყურებ და დარწმუნებული ვარ და მოვალეობად მიმაჩნია, რომ ჩვენის ლიტერატურის ის მო-ვლენა უნდა აღვნიშნო და გამოვაქვეყნო, რომელიც საყურადღებოა, სულ ერთია, მტერს ეკუთვნის საყურადღებო ნაწერები, თუ მე-გობარს.

ამიტომაც მოხდა, რომ ბ-ნი არაგვისპი-რელსა და კლდიაშვილს, თუმცა სრულიად არ ვიცნობდი უწინ, მაგრამ მათს ნაწარმოებს დიდის ალტაცებით ვიხსენიებდი და დღეს კი შეიძლება ჩვენს შორის მეტად კეთილი გან-წყობილებაც არსებობდეს.

ამიტომაც არის, რომ თუმცა ბ. ლუტუ მეგრელთან უფრო კარგს განწყობილებაში ვიყავი, ვიდრე ბ. კლდიაშვილისა და არა-გვისპირელთან, მაგრამ მისი ნაწარმოები მაინც დავგმე და ეს ჩემი აზრი მწერლო-ბითაც გამოვთქვი ერთხელ და თუ ესლა აღაზას ვლასარაკობ იმიტომ, რომ ლაპა-რაკის ღირსადაც არ მიმაჩნია, მით უმეტეს, რაკი მისი ლიტერატურული ზნე და ხასია-თი ვიცი. სწორედ ამ მოსაზრებითვე არ მოვიხსენიებ მისი სახელი მისგან დავმობილ ჩვენს ფელეტონში, რადგან არ მიმაჩნია ნიჭიერ და ორგინალურ მწერლად. ბ. ლუ-ტუ მეგრელის ნაწარმოები ე. ნინოშვილის მოთხრობების ტიპის ძლიერ სუსტი და მქრალი წარმომადგენელია და მათი ნიბაძვა.

კარგად უნდა იცოდეს ბ. ლუტუ მეგ-რელმა, რომ არდაზიანისა და კონქაძის შესახებ პირადის სიმპატი-ანტიპატიით არ შემძლო მხეცელმძღვანელებია, რადგან იმათ მე არც კი ვიცნობდი, მხოლოდ თ. ვახ. ორბელიანი და მამია გურიელი კი უთუოდ ჰარდა ანტიპატიის მიზეზით გამომჩიებოდა. (ამის განსჯა ბ. ლუტუ მეგრელის „დამოკიდე-ბულებათა ამბების“ ცოდნისათვის მიგვიწი-დია).

რაიცა შეეხება ორბელიანებს და გ. ერისთავს, მე მგონი მათ შესახებ მე ძა-ლიან ბევრი მიწერია, თუ კი რამე ყრია ხეირიანი ამ ნაწერებში და თუ ჩემ ვახსე-ნება — დავიწყებას რაიმე მნიშვნელობა აქვს, მე იგინი უთუოდ არ დამავიწყდებოდა.

ეს კი ვიცი, რომ ბ. ლუტუ მეგრელის პლანი კიდევაც, რომ შესრულდეს და ჩვენ დიდებულ მოღვაწეთა ბიოგრაფია გამოი-ცეს, მგონი იმის სახელს მათ რიცხვში არავინ შეიტანს, თუ თვით არ იკისრა ამ გვარი ბიოგრაფიების შედგენა.

ბ. ბ. დევანოზიშვილისა და ზურაბიშვი-ლისათვის კი ჩემ „ტირადებს“ ისეთი მნიშვნელობა აქვს, როგორც შარშანდელ თოვლს, იმიტომ, რომ, როგორც ვიცი მათი ნაწარ-მოებიდან (და პირადი დამოკიდებულებიდანაც, რაკი ბ. ლუტუ მეგრელს ეს ძალიან მოსწონს), მათთვის ამ ქვეყნად, ბ. შ. არაგვისპირელისა არ იყოს, არაფერს არა აქვს ფასი და მნიშვნელობა. რადგან ყო-ველივე გარდამავალია და ცვალებადი, ყოველივეს სიკვდილისა და განაწინილების ფერი ადევს. კიდევ ერთი ვიცი... ის, რომ მუხლ-მოდრეკილი რომ ვხვდებოდა არც ბ. დევანოზიშვილი და არც ბ. ზურაბიშვილი არც ერთს ბ. ლუტუ მეგრელის „თხზულე-ბას“ ხელს არ მოაწერენ.

სასაცილოა გაზიანებული თავ-მოყვარე-ობა თვით გენიოსისაც და სასაცილოა და სიბრალულის აღმძვრელი, თუ ამ გვარი ავადმყოფური თავ-მოყვარეობა უნიკოსა და უმნიშვნელო არსებას დასჩემდა.

კატა აბაშიძე.

# სასამართლო

I

ორშაბათს, 5 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში განიხილა საქმე გორის მაზრის მცხოვრების თავე. ალექსანდრე ნიკოლოზისძის ციციშვილისა, რომელსაც პირადობა წარსულ წელს ტფილისში, ვერაზე, „ედემის“ ბაღის პატრონის ბესარიონ ბაქრაძის მოკვლის განზრახვა. მოვიყვანეთ მოკვლელ საქმის გარემოებას, როგორც ეს დამნაშავეს საბრალმდებლო ოქმშია აღნიშნული 1900 წლის 28 აპრილს ა. ვ. გუნიას თავე. ციციშვილი სხვა პირებთან ერთად მიუწვევია „ედემის“ ბაღში სადილზე. კარგა შეღამებული ყოფილა, როცა სადილიდან სტუმრები აშლილან და თუმცა კარგა ძალზე შექვიფიანებული ყოფილან, მაგრამ წესიერება არაფერს დაურღვევია, მხოლოდ თავე. ციციშვილი გაცხარებული იმ გარემოების გამო, რომ ბაღში სადილზე ქუდი დაჰკარგოდა; იგი მისულა ბ. ბაქრაძის ძმის-წულთან ილია ბაქრაძესთან და უთხოვინა ქუდი მოეძებნა და თან დაუწყია ცემა; ეს რომ ბესარიონს გაუგია, წაჰკამაგებია ძმის წულს, რაზედაც ციციშვილი ისე გამწარებულია და ისე მაგრად შემოურტყავს ილია ბაქრაძისათვის, რომ მას სისხლიც კი წასკდა ცხვირიდან. ბესარიონი ძმის წულის დასაცველად ჩუბში ჩარეულა. უფრო გულმოსულს ციციშვილს უძვრია ხმალი და დაუკრავს თავში ბესარიონისთვის, რომელიც იქვე წაქცეულა უგრძნობლად. ექიმის შემოწმებით ბაქრაძის პრილობა საშიში აღმოჩენილა. საქმის გარჩევის დროს ციციშვილმა განაცხადა, რომ თუმცა მე დავჭერი ბესარიონ ბაქრაძე, მაგრამ ეს იძულებით ჩავიდინე, რადგანაც ყველა მოსამსახურეები და თვით მათი პატრონი ბაქრაძე მომეგრდნენ ჯოხებით მოწმებმა აჩვენეს, რომ როცა თავე. ციციშვილმა სთხოვა ილია ბაქრაძეს ქუდი, მან ურზრდელის კილოთი უპასუხა—მე შენი ლაქია არა ვარო; ამის გამო გულ მოსულმა ციციშვილმა გაარტყა ხელი. ამ დროს მოიბრინა ბესარიონმა და დასძახა მოსამსახურეებს „აიღეთ ჯოხები და დაურთეთ თავდასაო“; მოსამსახურეებმა ერთი იქმდგომთაგანს კალატოზიშვილსაც დაარტყეს ჯოხი. ბრალდებულის ვეკილმა ბნმა გრუზენბერგმა ითხოვა მისი მარწმუნებლის ციციშვილის განართლება, რადგანაც ეს საქმე განძრახ არ ჩაუდგენია, არამედ იგი იძულებული იყო ასე მოქცეულიყო მაშინ, როდესაც იგი ბაღიდან გამოდიოდა კარებში ბესარიონი მოსამსახურეებით მისწვდა ციციშვილს და შეუტეხს ჯოხებით გასალახავადაო. ბესარიონ ბაქრაძემ სასამართლოს სთხოვა აგრეთვე მიესაჯნა თავე. ციციშვილისაგან ის ფულები, რაც მას სამკურნალოში დაეხარჯა წამლობის დროს თვეში 100 მანეთი. საქმის გარჩევამ გასტანა სალამოს 5 საათამდე და ამიტომ სასამართლომ განაჩენის გამოცხადება გადასდო სამშაბათს 6 თებერვლისათვის. გუშინ დილის 10 საათზე ოლქის სასამართლომ უკვე გამოაცხადა თვისი განაჩენი, რომლითაც უდანაშაულოდ იცნო თავე. ალექსანდრე ციციშვილი ბესარიონ ბაქრაძის მოკვლის განზრახვით დაქარაზი და გაამართლა იგი. ოლქის სასამართლომ აგრეთვე უარი გამოუცხადა სამოქალაქო მომჩივნას ბაქრაძეს, რომელიც ითხოვდა 8,000 მან. გარდაუდებენებინათ ციციშვილისათვის იმ ზარალის აღსადგენად, რომელიც ბაქრაძეს მოუვიდა ციციშვილისაგან დაქრის გამო.

II

გუშინ ტფილისის სასამართლო პალატამ განიხილა საქმე განჯის გუბერნიის სოფ. იუზარო-აეზლის მცხოვრებ პეტრინ-მუსტაფა ოღლისა და კაგრამან-ალი-ოღლისა, რომელთაც ბრალად ედებოდათ განჯის გუბერნატორის ბ-ნ ლუკასათვის იარაღით წინააღმდეგობის გაწევა საქმის გა-

რემოება შემდეგია: ბ-ნ გუბერნატორი საგანგებო საქმეთა მინდობილების მოხელე მარკოვთან ერთად ყარაულებით გამგზავრებულია სოფ. ვლადისლავაში. მგზავრობის დროს შეღამებულია ისე, რომ კაცი ადვილად თურმე ვერ გაარჩედა ვერავის. სოფლის ახლო მათ წინ შემოჰყარიათ რამდენიმე შეიარაღებული კაცი, რომელნიც დარაჯებს ყაჩაღებად მიუღიან და გადმოუღიანთ თოფები სასროლად. ამაზედ მოწინააღმდეგეთ. რადგანაც დარაჯები მათაც ყაჩაღები ჰგონებიათ, უპასუხიან შესდევით, თორემ არ დაგზოვავთო და დაუწყიათ სროლა. ერთის დარაჯისათვის ცხენიც მოუკლავთ. გამოძიების შემდეგ პასუხის გებაში მიუციათ პეტრინ-ოღლი და კაგრამან-ოღლი, რომელთაც ოლქის სასამართლოში განუცხადებიათ, რომ ჩვენ არავითარი განზრახვით ვისიმე შეურაცხება არა გვდგომია და მხოლოდ, თუ ეს ჩავიდინეთ, იმიტომ, რომ დარაჯები ყაჩაღები გვეგონათ. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცენია აღნიშნულნი პირნი ბრალდებაში და გარდაუწყველია პირველისათვის 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> წლის ვადით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ხოლო მეორისათვის მცირე წლოვანების გამო ციხეში ერთს წლით დაპატიმრება. სამოსამართლო პალატამ ბრალმდებელთ გარდაუწყვიტა თითოს თითო წლით ციხეში დაპატიმრება.

## საღამოს დებეშები

6 თებერვალა

**პატიმარბრძი.** „საეპრო-სამრწველო გაზეთ“-ში დაბეჭდილია წერილი სათაურით: „ემზადება თუ არა რუსეთი სავაჭრო ხელშეკრულობათათვის?“ წერილში მოხსენებულია, რომ 1903 წელს ვადა უთავდება ზოგიერთ სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულებათ; გაზეთი აღარებს უცხოეთს და რუსეთს. იქ გავლენა აქვთ ქურთალ-გაზეთობას, პარტიების ბრძოლას და მთავრობა იძულებულია, სანამ შეეცდებოდეს სხვა სახელმწიფოებს პირობებით, შეეთანხმოს პოლიტიკურ პარტიებს და ამ რიგად შეავიწროვოს საკუთარი განზრახვანი. ს-ულოდ სხვა რუსეთში: აქ მთავრობა არა ნაკლები ყურადღებით არკვევს საგანს, არა ნაკლები გულმოდგინებით არჩევს შუამდგომლობებს, მაგრამ მოქმედობს თავისუფლად, ხელმძღვანელობს ხალხის საზოგადო სარგებლობის მოთხოვნილებით, რომელთაც მტკიცედ იცავს ხელმწიფის ჭკუა და გრძნობა.

ჩვენი მთავრობა არ სცნობს საჭიროდ ზოგიერთ სახელმწიფოებთან არსებულ სამოქალაქო-საბრძოლო დამოკიდებულების შეცვლას. რასაც უნდა დავგვირდნენ იქ, რუსეთის მთავრობა იქამდე არ მიიყვანს საქმეს, რომ სახელმწიფოებმა რუსეთი გახადონ ამ ანგარიშების გადამხდელად მომავალში. რასაკვირველია ყოველ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ნება აქვს მიიღოს ზომები ხორბლის გაძიერებისათვის, რომელსაც მისი მუშა ყიდულობს, მაგრამ დამოუკიდებელი და ძლიერ-მოსილი რუსეთი ხელს არ მოაწერს ისეთს ხელშეკრულებებს, რომლებიც ვნებას მოუტანს ჩვენს საზოგადო მეურნეობას. რუსეთის პური ესაჭიროება ყველა სახელმწიფოებს და მხოლოდ ხმა, რომ რუსეთიდან აკრძალული იქნება პურის გატანა, თავ-ზარსა სცემს სამრწველო ქვეყანას. რუსეთს არ ეშინიან, რომ ბაზარი ვერ უშოვოს თავის ნაწარმოებს და ყოველთვის თავისუფლად შეუძლიან სასარგებლო პირობებით შეეკრას სხვებს. სავაჭრო ხელშეკრულობას ორი მხარე აქვს: თუ სახელმწიფო, რომელშიაც არსებობს „მფარველობითი“, სისტემა, ცდილობს შეავიწროვოს საქონლის შემოტანა, ის იმავე დროს უნდა ცდილობდეს საქონლის გატანის გაფართოვებას. იმპერატორის

ალექსანდრე III სურვილისამებრ, რუსეთი შეეკრა სავაჭრო ხელშეკრულობით თითქმის ყველა სახელმწიფოებს და რადგანაც რუსეთის სხვა-და-სხვა შეღავათი მისცეს ვაჭრობის საქმეში, რუსეთშიც გაუადვილა უცხოელებს ჩვენთან ვაჭრობა; ამ გარემოებამ გააძლიერა ვაჭრობა მრწველობა. გარდა ამისა, სავაჭრო ხელშეკრულობა საზღვრავს ორი ხალხის სამოქალაქო და საზოგადო ურთიერთობას. გაზეთი ჩამოსთვლის ყველა სარგებლობას, რომელიც უცხოელებს აქვთ რუსეთიდან, ნამეტურ გერმანელებს. რუსეთის შუაგულში, მოსკოვში, გერმანელი ახალშენი იმდენად ძლიერი და დიდია, რომ საფიქრებელია, შეადგენს გერმანელების უდიდესს ახალშენს. გარდა სატარიფო ნაწილისა სავაჭრო ხელშეკრულობა ეხება ერების სხვა ინტერესებსაც. სახელმწიფოები არა მარტო ასაღებენ ჩვენს ქვეყანაში საქონელს, არამედ მათი კაპიტალისტები მუშაობენ ჩვენში და ბევრსაც იგებენ, რასაც რუსეთი ვერ ახერხებს სხვაგან. ვინც ხმა მალდა აცხადებს, როგორც სურს მოექცეს რუსეთიდან საქონლის გაზიდვის საქმეს, მას ისიც უნდა ახსოვდეს, რომ ხელშეკრულობის ერთი ნაწილის ხელის შეხება შეარყევს მთელს ხელშეკრულობას. რაც უნდა დიდად აფასებდეს რუსეთი სავაჭრო ურთიერთობას, თუ მის მეურნეობას ზარალის მიყენებას უქადიან, რუსეთი შესძლებს წინააღმდეგობის გაწევას. რუსეთის მთავრობამ იცის, როგორც ძლიერი უცხოელთა ინტერესები რუსეთში და ამიტომ ისინი, ვინც ჯერედ მოუკვლევი დათვის ტყავს ინაწილებენ, მზათ უნდა იყვნენ თანასწორად და კარგად შეიარაღებულის მტრის დასახვედრად. რუსეთის მთავრობას არ აშინებს საზღვარ-გარედ ატეხილი აგიტაცია და იგი მზად არის ყოველგვარ შევიწროებაზე შევიწროებითვე უპასუხოს; რუსეთი დამოუკიდებელი ემზადება სავაჭრო ხელშეკრულობათა შესახებ მოლაპარაკებას.

ბეჭდვითი საქმეების უმთავრეს მმართველობის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს თავე. შახოვსკის ებრძანა იყოს ამ მმართველობის უფროსად.

**გელზარდი.** კაბინეტის შედგენა დასრულდა. მინისტრ-პრეზიდენტი კაბინეტის თავმჯდომარედ რჩება და კისრულობს იუსტიციის სამინისტროს, სამაგიეროდ გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელი გადასცა ფინანსთა მინისტრად ნამყოფს, ამ ქამად პარიზის ელჩს, მიხეილ გუჩიკს; შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა უმთავრეს კონტროლად ნამყოფი ნიკოლოზ სტეფანოვიჩი; ქუთაისი ეკუთვნის ზომიერ რადიკალთა დასს, სტეფანოვიჩი უწინ ნაროდნიკი იყო. ვაჭრობის სამინისტროს მმართვე იყოსა ფინანსთა მინისტრმა მიკა პოპოვიჩმა, დანარჩენი მინისტრები თავიანთ ადგილებზედ დარჩნენ.

**კახუდაბი.** აქ კიდევ სამი კაცი გახდა ავად შავი კირით.

**რომი.** გამოცხადდა მეფის ბრძანება, რომელთ ხელმოწერით გაავის კონფერენციის საერთა შორისო აქტებს ძალა აქვს იტალიისთვისაც.

**ნიუ-იორკი.** ვაშინგტონიდან ცნობა მოვიდა, ფინანსთა მინისტრმა ბელგიიდან შემოტანილ შაქარს ბაჟი დაადოვა და ეს ბაჟი უდრის გამოტანის დროს მიცემულ ჯილდოს. თურმე ბელგიის შაქარი ეს რამდენიმე წელიწადია დაბაჟული ყოფილა და ყოველ წლივ ანახლებდნენ ამ ბაჟს. ამ მოკლე ხანში კიდევ განახლეს ეს ბაჟი და ისე მიიღეს, თითქმის პირველად ყოფილიყო შემოღებული. ახლანდელი ჯარის რაოდენობა ცოტათი თუ აღემატება უწინდელ ბაჟს.

რედაქტორი ალ. ჭეიშიაძე. გამომცემელი ალ. ჯანაძე.

# გამოსაღები მანქანები

მიმოსვლა რაინის-მანქანებისათვის (ფრჩხილებს გარეშე მანქანებისათვის ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ქოში გადის კვირასში ერთხელ—თხზამათობადი დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქო-ქაღის სადამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.). ტფილისში ჩამოდის სადამის 8 ს. 12 წ. ს. 10 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის დამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 1 წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევს 5 საათს 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის სადამის 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 წ.). ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევს 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის სადამის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.); ტფილისში ჩადის სადამის 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის სადამის 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.). ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.). ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

# განცხადებანი

კახური ღვინის საწმომი

„მედიცინა“

მიხეილ გიორგის ძის ტარასოვისა, რომელიც იმყოფებოდა პუშკინის ქუჩ., ტფ. საერო საზოგადოების შენობაში, 1901 წ. 1-ლ თებერვლიდან გადატანილი იქნა მეზობელ სარდაფში, იმავე სახლში, აუფარმანის მალაზიის ქვეშ ჩემ სარდაფში ღვინო დაკლებულის ფასით იყიდება: ყოველ დღე სახმარებელი ღვინო—2 მან. 10 კ. ველა, ნამდვილი კახური ღვინო—3 მ., ძველი ღვინო—4 მანეთიდან—20-მდე. იმედი მაქვს, პატივცემული საზოგადოება არ დასტოვებს უყურადღებოდ ჩემს კარგის თვისების ღვინოებს.

პატივისცემით მ. გ. ტარასოვი ქმებით. (4—1)

დაიბადა და გაიშვიდა გასაყიდად

ლექსები

# დავით გაბრუაშვილისა

ფასი ხუთი შაური.

ვინც ოც ცალზე მეტს იყიდის ნაღბზე, მანეთზე ხუთი შაური დაეთმობა.

უმთავრესი საწყობი: „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მალაზიაში.

(10—7)

სასაუბრო

# „პუკ-ღვინო“

ახლად გასუფთავებული და გაკეთებული ელქარონით განათებულია.

გლინავი ყოველ დღე.

(3—2)